

მე-4 კლასი

1. (3 ქულა) ბრიგადამ დაზიანებულ გზაზე ასფალტი უნდა დააგოს. 28კმ -ზე უკვე დააგო, რაც მთელი გზის ორი მეხუთედი ნაწილია. რა სიგრძისაა მთელი გზა?

1) 140კმ

ბ) 70კმ

გ) 80კმ

დ) 56კმ

2. (3 ქულა) დღე-ღამის რა ნაწილს ატარებს ძაღლი ძილში, თუ მას სძინავს 6 საათი?



ა) მეხუთედს

ბ) მესამედს

გ) ნახევარს

დ) მეოთხედს

3. (3 ქულა) ავტობუსს 100 კმ -ის გასავლელად სჭირდება 20 ლიტრი ბენზინი. რამდენი ლიტრი ბენზინი დასჭირდება ამავე ავტობუსს 130 კმ-ის გასავლელად?



ა) 35

ბ) 36

გ) 26

დ) 25

4. (4 ქულა) ერთ ყუთში 130 ბურთულაა, მეორეში - 50 ბურთულა. პირველიდან ყოველდღე იღებენ 8 ცალ ბურთულას, ხოლო მეორედა 3 ცალ ბურთულას. რამდენი დღის შემდეგ იქნება ორივეში თანაბარი რაოდენობის ბურთულა დარჩენილი?

ა) 12

ბ) 14

გ) 16

დ) 10

5. (3 ქულა) უცნობი რიცხვისა და 40-ის ნამრავლი გაადიდეს 3500-ით მიიღეს 6700. იპივეთ უცნობი რიცხვი.

ა) 70

ბ) 40

გ) 20

დ) 80

6. (4 ქულა) სირბილში სპორტულ შეჯიბრებაში მონაწილეობდა ბექა. იმ ბავშვთა რაოდენობა, რომელიც ბექას უკან აღმოჩნდა 4-ჯერ მეტია იმ ბავშვთა რაოდენობაზე, რომლებიც ფინიშთან ბექაზე ადრე მივიდნენ. რამდენი მოსწავლე მონაწილეობდა სულ, თუ ნიკას შემდეგ ფინიშთან 12 მოსწავლე მივიდა?



ა) 16

ბ) 15

გ) 48

დ) 42

7. (5 ქულა) ლანგარზე შოკოლადები დევს. მათი რაოდენობა ორნიშნა რიცხვით გამოისახება. ყველა ეს შოკოლადი შეიძლება თანაბრად გავუნაწილოთ 2, 3, და 5 ბავშვსაც, მაგრამ ვერ გავუნაწილებთ თანაბრად 4 ბავშვს, ვერც 9-ს. რამდენი შოკოლადია ლანგარზე?



ა) 26

ბ) 60

გ) 30

დ) 120

8. (7 ქულა) ქალაქის ერთერთი რაიონის გასამწვანებლად შექმნილია ნერგები. თუ ყოველ სახლთან დავრგავთ 9 ნერგს, დაგვაკლდება 100 ნერგი. თუ დავრგავთ 5 ნერგს, მაშინ 20 ნერგი დაგვრჩება. რამდენი სახლია ამ ქალაქში და რამდენი ნერგია შექმნილი?




ა) სახლი 30, ნერგი 170

ბ) სახლი 20, ნერგი 100  
დ) სახლი 15, ნერგი 130

გ) სახლი 10, ნერგი 50

9. (8 ქულა) რას უდრის მარჯვენა მრავალკუთხედის პერიმეტრი, თუ კვადრატის პერიმეტრია 64 სმ?



ა) 176 სმ

ბ) 144 სმ

გ) 256 სმ

დ) 160 სმ

10. (8 ქულა) ლოკოკინა ყოველ 6 წამში გადის 5სმ-ს და ყოველი 5მეტრის გავლის შემდეგ ისვენებს 2 წუთს. მოძრაობის დაწყებიდან რამდენ ხანში გაივლის ლოკოკინა 20 მეტრს?



ა) 24 წთ

ბ) 46 წთ

გ) 30 წთ

დ) 36 წთ